თსუ მედიცინის ფაკულტეტი

მაგისტრანტების გამოკითხვა - რეზიუმე

2019/2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი

კვლევის მიზანი. კვლევა მიზნად ისახავდა თსუ მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების შესწავლას მაგისტრანტებში, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას. ამავე კითხვარს დაემატა მიმდინარე სემესტრის სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასების საკითხებიც.

კვლევის დიზაინი. კვლევა ჩატარდა ონ-ლაინ რეჟიმში. კითხვარში შეტანილი იქნა ღია შეკითხვები.

სასწავლო კურსების და პედაგოგების შეფასება

საგნის და შესაბამისი პედაგოგის მიმართ უპირატესად გამოთქმული იქნა პოზიტიური შეფასება. გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება ინგლისურ ენასთან და გარემოს ჯანმრთელობასთან მიმართებაში, მათ შორის მაგალითად: ,,ინგლისური ენის გამოცდა სამაგისტრო კურსის მისაღებ გამოცდაზე ტარდებოდეს''.

ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება

შეკითხვაზე ,,გთხოვთ დაასახელოთ ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის ძლიერი მხარეები'' სტუდენტთა მიერ გამოხატულია ძირითადად პოზიტიური შეფასება, რაც შეიძლება განვაზოგადოთ ერთ-ერთი შეფასებით: *,,დროული უკუკავშირი, მეგობრული დამოკიდებულება და მაქსიმალური ხელშეწყობა''*.

შეკითხვაზე ,,გთხოვთ დაასახელოთ ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის სუსტი მხარეები'' სტუდენტთა მიერ სუსტ მხარედ დასახელდა ელექტრონული სისტემის გაუმართაობა, მაგალითად: *,,ვერ ვწერ განცხადებას ონლაინ და ა.შ.'' ; ,,ზედმეტი ბიუროკრატია, ელემენტარული განცხადებების დაწერა ელექტრონულადაც უნდა იყოს შესაძლებელი''.*

..

აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება

შეკითხვაზე ,,გთხოვთ დაასახელოთ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის ძლიერი მხარეეები'' სტუდენტების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული იქნა: *,,პროფესიონალიზმი'' ,,მეგობრული დამოკიდებულება სტუდენტებთან'' ,,სტუდენტებზე ორიენტირებულები''* და ა.შ

შეკითხვაზე ,,გთხოვთ დაასახელოთ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის სუსტი მხარეეები'' სტუდენტების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული იქნა: *,,პრაქტიკის არარსებობა'', ასევე დასახელებული იქნა ,,დაგვიანება'' და ,,უახლეს კვლევებზე და სტატიებზე ნაკლები ყურადღების გამახვილება''.*

დასკვნა.

მიღებული შედეგების ანალიზმა გამოავლინა, რომ თსუ მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტები ზოგადად კმაყოფილები არიან ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობით, გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.